საიდ. №74142/03

IR 1175133

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №202-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, ს. ებრალიძე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ” პუნქტისა და 2015 წლის 11 თებერვლის №ა-21 წერილის საფუძველზე საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის ,,სვენსკა სელულოზა აკტიებოლაგეტ ეს სი ეი“ (Svenska Cellulosa Aktiebolaget SCA) (მის.: ს/ყ 200, SE-101 23 სტოკჰოლმი, შვედეთი; Box 200, SE-101 23 Stockholm) სააპელაციო საჩივარი (N178-03/14), რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ნოემბრის N2844/03 ბრძანების ბათილად

ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „SCA Care of life“ (საიდ. N74142/03, IR 1175133) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე პირველი, მე-3, მე-5, მე-10, მე-16, მე-19, 21-ე, 24-ე, 39-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალისათვის და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „SCA Care of life“ დაცვის მინიჭება საქართველოში ასევე, პირველი, მე-3, მე-5, მე-10, მე-16, მე-19, 21-ე, 24-ე, 39-ე კლასების საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

„საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ნოემბრის №2844/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „SCA care of life" მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „SCA Group Holding B.V." სახელზე პირველი, მე-3, მე-5, მე-10, მე-16, მე-19, 21-ე, 24-ე და 39-ე კლასების საქონლისა და მომსახურებისათვის დაცულ კომბინირებულ ნიშნებისა „SCA“ (IR 569112, რეგისტრაციის თარიღი 19/12/1990, გავრცელების თარიღი 14/11/2002) და „SCA” (IR 569113, რეგისტრაციის თარიღი 19/12/1990 და გავრცელების თარიღი 14/11/2002). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე ნიშანი კომბინირებულია, შეიცავს გამოსახულებით ელემენტს ორ გადაჯაჭვულ სამკუთხედის სახით და სიტყვიერ ნაწილს. ნიშნები მსგავსია როგორც თავისი ძირითადი სიტყვიერი ნაწილით „SCA", აგრეთვე გამოსახულებითი ელემენტით, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აგრეთვე, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი საქონლის და მომსახურების ნაწილი მსგავსია დაცული ნიშნების საქონლისა და მომსახურებისა. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში განცხადებული საქონლისა და მომსახურების ნაწილის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თამაზ შილაკაძე თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებზე უფლებების ნაწილობრივი გადაცემის შედეგად, ორივე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი გახდა აპელანტი კომპანია ,,სვენსკა სელულოზა აკტიებოლაგეტ ეს სი ეი“ (Svenska Cellulosa Aktiebolaget SCA). აღნიშნულიდან გამომდინარე, აღარ არსებობს განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების „SCA" (რეგ. N569112) და „SCA" (რეგ. N569113) მფლობელმა კომპანიამ (SCA Group Holding B.V.) მის კუთვნილ სასაქონლო ნიშნებზე უფლებები გადასცა განცხადებული ნიშნის მფლობელ კომპანიას - ,,სვენსკა სელულოზა აკტიებოლაგეტ ეს სი ეი“ (Svenska Cellulosa Aktiebolaget SCA). აღნიშნული დასტურდება ასევე საქპატენტის სასაქონლო ნიშნების ოფიციალური რეესტრის მონაცემებით. გამომდინარე იქიდან, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანია ერთი და იგივე პირია, აღარ არსებობს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის ,,SCA Care of life“ (საიდ. N74142/03, IR 1175133) პირველი, მე-3, მე-5, მე-10, მე-16, მე-19, 21-ე, 24-ე, 39-ე კლასების საქონლისა და მომსახურებისათვის, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,SCA Care of life“ (საიდ.

N74142/03, IR 1175133) უნდა მიენიჭოს დაცვა საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის ,,სვენსკა სელულოზა აკტიებოლაგეტ ეს სი ეი" (Svenska Cellulosa Aktiebolaget SCA)სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ნოემბრის N2844/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,SCA Care of life" (საიდ. N74142/03, IR 1175133) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე პირველი, მე-3, მე-5, მე-10, მე-16, მე-19, 21-ე, 24-ე, 39-ე კლასების საქონლისა და მომსახურების მიმართ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,SCA Care of life" (საიდ. N74142/03, IR 1175133) მიენიჭოს დაცვა საქართველოში ასევე, პირველი, მე-3, მე-5, მე-16, მე-19, 21-ე, 24-ე, 39-ე კლასების საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა,

სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ს. ებრალიძე

ი. გიქორაშვილი